

შეთანხმება

2014 წლის 11 სექტემბრის N040901/14/2640 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი

20 თებერვალი 2015 წ.

ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ინგოროყვას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით, „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2014 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2015 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N723 დადგენილებით, მხარეთა შორის 2014 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული N040901/14/2640 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების დაწყების თარიღი განისაზღვრება არა უგვიანეს 2015 წლის 3 მარტისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში არ დაიწყება მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.“

2. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 3 აპრილის ჩათვლით“.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეეხება შეთანხმება, უცვლელი რჩება.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

6. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი - „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი“

შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი,
საუნივერსიტეტო კლინიკა“
ქ. თბილისი, წინანდლი ქ. N9
საიდენტიფიკაციო კოდი 211385767
ს/ს „რესპუბლიკა ბანკი“; ბანკის კოდი REPLGE22
ა/ნ GE25BR000000004467013

გიორგი ინგოროყვა
დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

კ. ჩხარტიშვილი

ბ. დათუკიშვილი

ა. ვასაძე